საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტური თვითმმართველობა
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
STUDENT SELF - GOVERNANCE

№ 05.11.2021/7 „5" ნოემბერი 2021 წ.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მ.შ.

ბრძანება

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობას 2021 წლის 11 ოქტომბერს თსუ-ის ადმინისტრაციისაგან ეცნობა, რომ 2021 წლის 12 ოქტომბერს დაგეგმილი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გასაჩივრდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, რომლებმაც სარჩელით მიმართეს სასამართლოს და დააყენეს შუამდგომლობა არჩევნების გადადების თაობაზე, მოითხოვეს სარჩელის განხილვამდე არჩევნების შეჩერება. სასამართლომ საქმეზე # 3/6276-21 დააკმაყოფილა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, სადაც მოპასუხე მხარედ განსაზღვრულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაასაჩივრა აღნიშნული განჩინება და ველოდებით სააპელაციო სასამართლოს განჩინებას უზრუნველყოფის გაუქმებასთან ან ძალაში დატოვებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვთვლით, რომ შესაბამისი მოპასუხე არ არის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ითვალისწინებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერესებს.

ვბრძანებ:

1) შევიდეს ცვლილება 2021 წლის 10 სექტემბრის ბრძანებაში #10092021/4 მე-8 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების თაობაზე და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   1. ჩატარდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის მე-8 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები 2021 წლის 14 ნოემბერს.
2) ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
ტელეფონი: +(995 32) 225 12 38 Tel.
ელ.ფოსტა: tvitmmartveloba@tsu.ge; E-mail

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, #6)

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის
პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
ალექსანდრე გაბაშვილი